

ვებ პორტალი, 110314010, 16.03.2011
სარეგისტრაციო კოდი
470.230.000.22.035.016.058

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრის
ბრძანება №01-9/ნ
2011 წლის 11 მარტი ქ. თბილისი**

**ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების)
გამოწერის ინსტრუქციისა და რეცეპტის (ფორმა №3) ნიმუშის
დამტკიცების შესახებ**

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) გამოწერის ინსტრუქცია (დანართი №1);

ბ) ძირითადი სარეცეპტურო შემოკლებები (დანართი № 2);

გ) რეცეპტის (ფორმა №3) ნიმუში (დანართი № 3).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 17 ოქტომბრის №148/ნ ბრძანება „სამკურნალო საშუალებების რეცეპტის გამოწერისა და მათი გაცემის შესახებ“ და 2007 წლის 5 ივლისის №205/ნ ბრძანება „სუბსიდირებული მედიკამენტების რეცეპტის გამოწერისა და მათი გაცემის წესის შესახებ“.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ა. ურუშაძე

დანართი №1

ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) გამოწერის ინსტრუქცია

მუხლი 1.

1. წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) უნიფიცირებული ფორმით გამოწერის წესს. აღნიშნული არ ეხება „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით

გათვალისწინებულ პირველ ჯგუფს მიკუთვნებულ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტს.

2. დაუშვებელია რეალიზატორის მიერ ფარმაცევტული პროდუქტის გაცემაზე უარის თქმა რეცეპტის (ფორმა №3) წარმოუდგენლობის საბაზით.

მუხლი 2.

1. ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) დანიშვნა და გამოწერა ხდება დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის – სერტიფიცირებული ექიმის (შემდგომში–ექიმი) მიერ დანართ №3-ში მოცემული „რეცეპტის ნიმუშის“ შესაბამისად.

2. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, ამ ნივთიერებათა წამლის ფორმების, მათი შემცველი კომბინირებული პრეპარატების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის ფორმების დამტკიცების, მათი დანიშვნისა და გამოწერის წესები რეგულირდება „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, ამ ნივთიერებათა წამლის ფორმების, მათი შემცველი კომბინირებული პრეპარატების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის ფორმების დამტკიცების, მათი დანიშვნისა და გამოწერის დროებითი წესების შესახებ“ საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 1999 წლის 29 ნოემბრის №465/ო ბრძანებით და „რეცეპტის სპეციალურ ბლანკზე გამოსაწერი სამკურნალო საშუალებების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 1 სექტემბრის №192/ნ ბრძანებით.

3. აკრძალულია საქართველოში არარეგისტრირებული ფარმაცევტული პროდუქტის გამოწერა, გარდა „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 11¹³ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 3.

1. რეცეპტში გარკვევით უნდა აღინიშნოს:

ა) რეცეპტის გამომწერი ექიმის სახელი, გვარი;

ბ) რეცეპტის გამომწერი ექიმის და/ან სამედიცინო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი და მისამართი);

გ) გამოწერის თარიღი;

დ) პაციენტის მონაცემები: სახელი, გვარი, ასაკი.

ე) ექიმის ხელმოწერა, პირადი ბეჭედი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და/ან სამედიცინო დაწესებულების ბეჭედი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების გარდა, საჭიროების შემთხვევაში რეცეპტი შესაძლებელია მოიცავდეს სხვა დამატებით ინფორმაციასაც: პაციენტის მისამართს და ტელეფონს, დიაგნოზს, სადაზღვევო მონაცემებს, ინფორმაციას თანაგადახდის შესახებ, რეცეპტის მოქმედების ვადას.

3. რეცეპტში, როგორც ფარმაცევტული პროდუქტის სახელწოდება, ისე ყველა სხვა პუნქტი, უნდა შეივსოს გარკვევით. ამასთან, რეცეპტის შევსებისას შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ელექტრონული საშუალებები.

4. ფარმაცევტული პროდუქტის შემადგენლობის, ფორმის, დოზის შესახებ ინფორმაცია იწერება ქართულ ან ლათინურ ენაზე. ლათინური შემოკლებების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო და ფარმაცევტულ პრაქტიკაში დაშვებული შემოკლებების შესაბამისად (დანართი №2).

5. ფარმაცევტული პროდუქტის მიღების წესი იწერება ქართულად ან პაციენტისათვის გასაგებ ენაზე, დოზის, რაოდენობის, მიღების სიხშირის და ხანგრძლივობის აღნიშვნით.

6. თანაბარი დოზით ინგრედიენტების ერთმანეთის მიყოლებით გამოწერისას, საკმარისია ბოლო ინგრედიენტის გასწვრივ დაიწეროს „ana” ან შემოკლებით „aa” და დოზა.

7. იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფი თავად არის რეცეპტის გამომწერი ექიმი, ბლანკზე უთითებს წარწერას „pro autore” (ავტორისათვის) ან „pro me” (ჩემთვის).

8. ექიმი უფლებამოსილია ერთ რეცეპტზე გამოწეროს ერთი ან რამდენიმე ფარმაცევტული პროდუქტი (სამკურნალო საშუალება).

9. ქრონიკული დაავადებების არსებობისას, რეცეპტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მრავალჯერადად. ასეთ შემთხვევაში, ექიმი რეცეპტზე აკეთებს ჩანაწერს - „ქრონიკულ ავადმყოფს”, ადგენს სამკურნალო საშუალების მოხმარების პერიოდულობას (ყოველკვირა, ყოველთვე და ა შ.) და დიაგნოზის გათვალისწინებით რეცეპტის მოქმედების ვადას.

10. სამკურნალო საშუალებების რეცეპტი არ წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს. ამასთან, იგი არ ექვემდებარება საგნობრივ-რაოდენობრივ აღრიცხვას.

11. რეცეპტში ასახული ჩანაწერები უნდა შესრულდეს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. დაუშვებელია რეცეპტის გამოყენება რეკლამირების მიზნით, მათ შორის, ბლანკზე ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) დასახელების ან მისი განმასხვავებელი ფაქტოგრაფიული ნიშნის დატანა.

დანართი № 2

ძირითადი სარეცეპტურო შემოკლებები

შემოკლება	სრული დამწერლობა	თარგმანი
a a	ana	თანაბრად
ac.acid.	acidum	მჟავა
amp.	ampula	ამპულა
aq.	aqua	წყალი
aq.destil	aqua destillata	გამოხდილი წყალი

comp.	Compositus(a,um)	რთული
D.	Da (Dentur)	გაეცი, გაცემულ იქნეს
D.S.	Da,Signa	გაეცი და აღნიშნე
D.t.d.	Da(Dentur) tales doses	გაეცი აღნიშნული ასეთი დოზებით
dil.	Dilutus	განზავებული
dv n p. aeg.	Divide i n partes aequales	გაყავი თანაბარ ნაწილებად
extr.	extractum	ექსტრაქტი, გამონაწვლილი
f.	Fiat	წარმოიქმნას
gut.	gutta, guttae	წვეთი, წვეთები
i nf.	i n fusum	გამონაცემი
i n amp.	i n ampulis	ამპულებში
i n tab.	i n tabuletis	აბეზში
lin.	Li nime ntum	თხევადი მალამო
liq.	liquor	სითხე
M.	misce	შეურიე
n.	numero	რიცხვით
ol.	oleum	ზეთი
p.aeq.	partes aequales	თანაბარი ნაწილები
pulv.	pulvis	ფხვნილი
q.s.	quantum satis	რამდენიც საჭიროა (დასჭირდება)
r.rad.	radix	ფესვები
Rp.	Recipe	აიღე
Rep.	Repete	გაიმეორე, განმეორებულ იქნეს
Riz.	Rizoma	ფესურები
S.	Sig na, Sig netur	აღნიშნე, აღნიშნულ იქნეს
sem.	seme n	თესლი
Simpl.	simplex	მარტივი
sir.	sirupus	სიროფი
sol.	solutio	ხსნარი
Supp.	suppositorium	სუპოზიტორიები
tabl.	Tabulettae	აბეზი
ti nct.	ti nctura	ნაყენი
u ng.	u nguentum	მალამო

vit.	vitrum	სინჯარა
pr.praec.	praecipitatus	დალექილი

დანართი № 3

რეცეპტის ნიმუში (ფორმა №3)

რეცეპტი

სამედიცინო დაწესებულება

ექიმი _____

სახელი, გვარი, ტელეფონი/მისამართი

გამოწერის თარიღი _____

პაციენტი _____

სახელი, გვარი

ასაკი

* _____

ტელეფონი/მისამართი

* _____

სადაზღვევო კომპანია, პოლისის ნომერი და მოქმედების ვადა

*სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე კი არა

*დიაგნოზი _____

* ექვემდებარება თანაგადახდას %

Rp.:

S

Rp.:

S.

Rp.:

S

ექიმის ხელმოწერა _____

ექიმის პირადი ბეჭედი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

და/ან სამედიცინო დაწესებულების ბეჭედი
*რეცეპტის მოქმედების ვადა _____

*ივსება საჭიროების შემთხვევაში